



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030401874478617

№ 04-706/ო

29 / სექტემბერი / 2017 წ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 მარტის N04-127/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 მარტის N04-127/ო ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის 1.6.1.–1.6.5. დანართებით განსაზღვრული კომპონენტებით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე განაწილების ან შესაბამისი ვაუჩერების გაცემის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კობა სონდულაშვილი - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მარი წერეთელი – სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ვალერი გაზდელიანი – სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

დ) ლალი წამალაიძე - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის

სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ე) სერგო კალანდაძე – სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების ფინანსური ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ვ) ზაზა ჯანაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.“

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: [ssa.gov.ge](http://ssa.gov.ge).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე